

მეთოდური რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველი კლასის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის

მარეხ ნათენაძე

პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

თანამედროვე ეტაპზე ეფექტური და წარმატებულია სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; იგი მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის (მათ შორის, საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური), ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველ კლასში შეტანილია საგანი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რაც ითვალისწინებს მოსწავლეებში ისტ-ის გამოყენებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ჩამოყალიბებას. საკითხის შესწავლა გვიჩვენებს, რომ პირველ კლასში, სამწუხაროდ, არ ხდება ამ საგნის სათანადო დონეზე სწავლება. ამ პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება აღინიშნოს, ამ საათებით კლასის დამრიგებლისათვის დატვირთვის შევსება, რის გამოც საგნის სწავლება ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს; ხშირია შემთხვევა, როდესაც ისტ-ს ნაცვლად ტარდება მათემატიკა ან სხვა საგანი. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნობრივ სტანდარტზე გასასვლელად შედეგები რჩება ფურცელზე, აუცილებელია მასწავლებელი იყოს ისეთი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, რომ შეძლოს მოსწავლეთა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოსწავლეთა კომპეტენციებზე გასვლა.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლეთა მოტივაცია, ისტ-ს კომპეტენციები, მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტი, მოსწავლის სტანდარტი, მეთოდური რეკომენდაციები.

თანამედროვე ეტაპზე ეფექტური და წარმატებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისათვის, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაზრდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის (მათ შორის, საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური), ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველ კლასში შეტანილია საგანი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ისტ), რაც ითვალისწინებს მოსწავლეებში ისტ-ის გამოყენებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

პრობლემა

საკითხის შესწავლა გვიჩვენებს, რომ პირველ კლასში სამწუხაროდ, არ ხდება ამ საგნის სათანადო დონეზე სწავლება. ამ პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ამ საათებით კლასის დამრიგებელისთვის დატვირთვის შევსება, რის გამოც, საგნის სწავლება ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს; ხშირია შემთხვევა, როდესაც ისტ-ს ნაცვლად ტარდება მათემატიკა ან სხვა საგანი. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების საგნობრივ სტანდარტზე გასასვლელად მისაღწევი შედეგები რჩება ფურცელზე, აუცილებელია მასწავლებელი იყოს ისეთი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, რომ შეძლოს მოსწავლეების სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამის შედეგზე გაყვანა. მაგალითად: ეროვნული სასწავლო გეგმიდან - ის ტექნ. I.3. მოსწავლეს შეუძლია ისტ პროდუქტის შესაქმნელი საშუალებების გამოყენება (მიმართლება - ისტ რესურსების შექმნა) (1, თავი XLIV). ამავე საგნობრივი სტანდარტის სარეკომენდაციო შინაარსში წარმოდგენილ საკითხებს შორისაა კომპიუტერული პროგრამები, რომელთა დანიშნულებაა თვალსაჩინოებების შექმნა და გამოყენება სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში. ვფიქრობთ, პრობლემას წარმოადგენს ამ საგნის სწავლება და აუცილებელია ახალი მიდგომების მოძიება პრობლემის დასარეგულირებლად.

როგორ შეგვიძლია გადავწყვიტოთ ეს პრობლემა?

პრობლემის გადაწყვეტის გზა

მასწავლებლის მომზადების ერთ-ერთ მიმართულებად იყო და კვლავ რჩება ტრენინგები და კონსულტაციები. ამ კუთხით აუცილებელია მუშაობის გაღრმავება, განსაკუთრებით პირველი კლასის მასწავლებლებთან.

ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია გრაფიკული რედაქტორი ArtRage, როგორც შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებელი კარგი საშუალება. მისი გამოყენებით მოსწავლე ითვისებს ხატვის საწყის უნარებს, ეცნობა ფერებთან და ჩრდილებთან მუშობას. პროგრამის ფანჯარაში განლაგებულია: მენიუს ზოლი, სახატავი ინსტრუმენტები, ინსტრუმენტების მართვის პანელი, ფერთა პალიტრა, ფურცელთან სამუშაო ინსტრუმენტები, შრეების პანელი. შრეების პანელიდან არის შესაძლებელი სხვადასხვა შრის გააქტიურება, თითოეული შრისათვის პარამეტრების შერჩევა ან საერთოდ, ახალი შრის შექმნა. სწორედ, შრეების პანელი წარმოადგენს ArtRage-ის პროგრამისათვის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს (2, 95-96).

ასევე პროგრამის ერთ-ერთი თავისებურება ნამუშევრის შენახვაა. შეიძლება პროგრამამ ნამუშევარი შეინახოს საკუთარ ფორმატში ან შეინახოს, როგორც სურათი. ნამუშევრის, როგორც სურათად შენახვისას, აუცილებელია მისი თავისივე ფორმატში შენახვაც. სწორედ, ამ ფორმატშია შესაძლებელი სურათის მომავალში რედაქტირება.

ArtRage-ში მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სააზროვნო უნარების გასავითარებლად. ამ პროგრამის გამოყენება მასწავლებლებს და მოსწავლეებს დაეხმარება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებაში. ისინი შეძლებენ სხვადასხვა სასწავლო დისციპლინაში თვალსაჩინოებების შექმნას და გამოყენებას. ამდენად, გრაფიკულ რედაქტორში შესრულებული ნამუშევრები მასწავლებლებმა გაკვეთილზე შეიძლება წარმატებით გამოიყენონ. გაკვეთილზე ნამუშევრების გამოყენება შეიძლება ელექტრონული სწავლების - Classroom Management by Mythware - e-Learning პროგრამის (3)

და ასევე, ფლემის საშუალებით (ფლემ-მეხსიერების გამოყენება სტანდარტის შედეგის - ის ტექნ. I.1. მოსწავლე ფლობს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და ოპერაციებს - ერთ-ერთი ინდიკატორია).

მეთოდური რეკომენდაციები:

- გაკვეთილის თემის შესაბამისად მასწავლებელმა წინასწარ მოამზადოს ნახატი და გაკვეთილზე გამოიყენოს სურათის სახით, როგორც სასწავლო რესურსი; გამოყენების ხერხი: ელექტრონულ პროგრამაში ფუნქცია - ეკრანის გადაცემა. ნახატის მომზადება და სურათის სახით გაკვეთილზე მისი გამოყენება შეუძლიათ ასევე მოსწავლეებს. გამოყენების ხერხი: ელექტრონულ პროგრამაში ფუნქცია - ჩვენება სტუდენტებისათვის.
- მასწავლებელმა პროგრამაში შეასრულოს ნახატი კონტურის სახით, შეინახოს საკუთარ ფორმატში და გაკვეთილზე გამოიყენოს როგორც გასაფერადებელი მასალა. ასეთი სახით შესრულებული ნახატი წარმოადგენს გასაფერადებელ საშუალებას; გამოყენების ხერხი: ელექტრონულ პროგრამაში ფუნქციები - ფაილების დარიგება, ფაილების კოლექცია. იგივე სახის ელექტრონული რესურსების შექმნა შეუძლიათ მოსწავლეებს. გამოყენების ხერხი: ელექტრონულ პროგრამაში მოსწავლეთა მიერ მასწავლებლისადმი ფაილების გაგზავნა და შემდეგ ფუნქციები - ფაილების დარიგება, ფაილების კოლექცია.
- მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდოს დაუმთავრებელი ნახატი და მოსწავლეებს სთხოვოს, მაგალითად, მისი დამთავრება, ნახატში ცვლილებების შეტანა და სხვ.; იგივე სახის ელექტრონული რესურსების შექმნა შეუძლიათ მოსწავლეებს.

შეჯამება

როგორც ვხედავთ, ბუკებით სწავლება ახალ მოთხოვნებს უყენებს დაწყებითი კლასების მასწავლებლებს და შესაბამისად, ჩნდება ახალი მოთხოვნები დაწყებითი განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის მიმართ. ამავე დროს, ბუკებში მუშაობის და კონკრეტულად, გრაფიკულ რედაქტორში - ArtRage-ში მუშაობის შედეგად მოსწავლეებში მიიღწევა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, პირველკლასელთა გაყვანა შედეგზე: ის ტექნ. I.3. მოსწავლეს შეუძლია ისტ პროდუქტის შესაქმნელი საშუალებების გამოყენება (მიმართლება - ისტ რესურსების შექმნა).

ვფიქრობთ, აღნიშნული მასალა დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს ეროვნული გეგმის წარმატებით რეალიზებაში.

მნიშვნელოვანია, ისიც, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების სკოლების პირველი კლასის მასწავლებლებთან „1:1 ელექტრონული სწავლების“ ტრენინგ-კურსის გავლის შედეგად მასწავლებლებმა ArtRage-ის პროგრამაში შექმნეს ნახატები, რასაც ისინი წარმატებით იყენებენ, როგორც სასწავლო რესურსებს, ესენია, სურათის სახით შენახული ნახატები, მათი გამოყენება ტექსტურ რედაქტორში (Word) და საპრეზენტაციო პროგრამაში (PowerPoint).

საგულისხმოა, ისიც, რომ ამ პროცესში ადგილი აქვს მასწავლებლების ერთმანეთთან ეფექტურ თანამშრომლობას, ცალკეული ნამუშევრების გაზიარებას, აღსანიშნავია ისიც, რომ ტერიტორიულად დაშორებული სკოლების მასწავლებლები

შექმნილ რესურსებს ერთმანეთს ელექტრონული ფოსტით უზავნიან. სოფლის სკოლებში, მოსწავლეთა სიმცირის გამო პარალელური კლასები არ იქმნება და კონკრეტული კლასის მასწავლებელი ამ გზით აქტიურად თანამშრომლობს სხვა სკოლების იმავე კლასის მასწავლებლებთან, რაც ასევე, ძალზედ მნიშვნელოვანია.

დაბოლოს, ისტ-სწავლების პროცესი ძალზედ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თანამედროვე ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოზარდის მომზადების პროცესში, რაც დღის წესრიგში აყენებს ამ საგნის მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა. 2011-2016.
2. ელექტრონული სწავლების დანერგვა. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013.
3. კლასის მართვა, გაკვეთილის მართვის ელექტრონული პროგრამა. მეთოდური სახელმძღვანელო. Intel, 2012.